პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 5 22 0000550178

27/05/2022

**სსიპ კასპის კოლეჯში "რეგიონალური ტურისტული მეგზური"პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებითადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და ,,სსიპ კასპის კოლეჯისთვის "რეგიონალური ტურისტული მეგზური"პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ"პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 17 აგვისტოს №799908 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

დარგის ექსპერტის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კასპის კოლეჯში (ს/კ: 205405480) „რეგიონალური ტურისტული მეგზურის" პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
2. ცვლილება განხორციელდეს ,,სსიპ კასპის კოლეჯისთვის "რეგიონალური ტურისტული მეგზური" პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 17 აგვისტოს №799908 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი).**

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 27 მაისის №549118 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზაქარეიშვილი მარიკა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი

**დანართი**

| **პროგრამის კოდი** | **პროგრამის დასახელება** | **პროგრამის სახე** | **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე** | **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში** | **სწავლების ენა** | **მსმენელთა ზღვრული რაოდენობა** | **პროგრამის განხორციელების ადგილი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01153 | რეგიონალური ტურისტული მეგზური | პროფესიული გადამზადება | მეოთხე | 10 | ქართული | 30 | ქ. კასპი, აღმაშენებლის ქ. №168ვ |